საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

30/05/2024

MIA 6 24 01586465

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 28 მაისის N60-01241493536 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ესმა ონიანის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.01.020.223) ასაშენებელი ამბულატორიის შენობის არქიტექტურულ და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 12 ოქტომბრის N MIA52102685826 წერილით გაიცა შესაბამისობის დასკვნა.

ამჟამად წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში შეტანილი კორე ქტირებებით (-სარდაფში შეიცვალა გეგმარება:1-2 და ა-გ ღერძებში არსებული საწყობი (3) დაიყო სამად, ორ საწყობად და ტექნიკური კანალიზაციის ოთახად, 3-5 და დ-ე ღერძებში არსებული საწყობი (11) დაიყო სამ ნაწილად, ორ საწყობად და დერეფანად, 4-5 და გ-დ ღერძებში არსებული საწყობი (12) დაიყო ორ გასახდელად, დერეფნად, დამლაგებლის ოთახად და საწყობად. 3-4 და ა-ბ ღერძებში არსებული ერთ-ერთი სანკვანძის ადგილას მოეწყო სამრეცხაო, შემცირდა გარე პერიმეტრის კედლის სისქე.-პირველ სართულზე პრეანალიტიკის ოთახი გაიზარდა მოსაცდელის ხარჯზე (3-4 და ბ-გ ღერძებში), გაიზარდა შენობის შიდა ფართი პასაჟის ხარჯზე (4-5 და ა-ე ღერძებში), შეიცვალა კიბის ბაქნის ფორმა.-მეორე სართულზე 1-3 და დ-ე ღერძებში ლაბორატორიის კაბინეტები გადაგეგმარდა, დაემატა ტამბური და ერთი კაბინეტი, 1-2 და ა-ბ ღერძებში გაიზარდა საინფორმაციოს კაბინეტი IT კაბინეტის ხარჯზე.-მესამე სართულზე გაუქმდა სამზარეულო (3-5 და ბ-გ ღერძებში) და სამზარეულოს ხარჯზე გაიზარდა სასადილო, შეიცვალა სან. კვანძების კონფიგურაცია.-გეგმა +11,65 ნიშნულზე შეიცვალა პერგოლის მიმართულება და ზომები, დაემატა მეხამრიდი, გარე აგრეგატები და მოაჯირი.- შეიცვალა შენობის სიმაღლე და გაბარიტები- დაცვის ოთახი, გენერატორი და ჰიდრანტი გადავიდა შიდა გზის მეორე მხარეს, შეიცვალა დაცვის ოთახის ზომები და შიდა განლაგება, შეიცვალა გზის შესასვლელი ნაწილი, გზაზე დაემატა მარკირება, ონიანის მხრიდან დაემატა გამწვანება, მოეწყო ჭიშკარი და ორი კუტიკარი. - ე-ა ფასადზე დაემატა გარე აგრეგატები, შეიცვალა ფასადის მოსაპირკეთებელი მასალა და ა-ე და

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

5-1 ფასადებზე დაემატა სარეკლამო წარწერები.) აღნიშნულით არ დარღვეულა ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი